ბრძანება N 05-178

2015 წლის 7 დეკემბერი

ქ. თბილისი

მასწავლებლის შეფასების ელექტრონულ სისტემაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოქმედი მასწავლებლების განათლების, აკადემიური ხარისხისა და პედაგოგიური სტაჟის შესახებ ინფორმაციის განთავსების ვადის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის და 52-ე მუხლის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ნოემბრის N597 დადგენილების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N74 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესის“ მე-4 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი–მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ (შემდგომში-დებულება) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მასწავლებლის შეფასების ელექტრონულ სისტემაში „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლის განაწილების წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსების დამატებით ვადად განისაზღვროს 2015 წლის 7-20 დეკემბერი.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა/საჯაროდ გამოცხადების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება ძალაში შედის დაინტერესებული პირებისათვის გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6.)

დირექტორი

გიორგი მაჩაბელი